ზურაბ შენგელია

ლიზინგი ქართული კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

ნაშრომი წარმოდგენილია მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

სრული პროფესორი: ზურაბ ჭეჭელაშვილი

თბილისი 0156

საქართველო

2020 წ.

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

„ჩვენ, ქვემეორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ზურაბ შენგელიას მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: ლიზინგი ქართული კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“.

თარიღი: _____

ხელმძღვანელი: სრული ფროფესორი, ზურაბ ჭეჭელაშვილი

_____

რეცენზენტი:

_____

ავტორი: ზურაბ შენგელია

ნაშრომი: „ლიზინგი ქართული კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით“

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

რეზიუმე

ადამიანი - საჭიროება, მოთხოვნილება და მოთხოვნა. ეს კომპონენტები არის საზოგადოების, როგორც მოვლენის წარმოქმნის საფუძველი. საზოგადოება კი თავის მხრივ სოციუმია(საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობა), რომელიც საჭიროებს კოორდინაციას იმ სამართლებრივი სიკეთეების მისაღებად და შემდგომ უკვე დასაცავად, რაც აუცილებელია ინდივიდთა საჭიროებების და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ეს მოთხოვნილებები და საჭიროებები ქმნიან სამოქალაქო ბრუნვას, რომელსაც სჭირდება მართვის მექანიზმები, რასაც თავის მხრივ გვაძლევს სამართალი - ნორმების მეშვეობით ის გვიყალიბებს მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობას კონკრეტული მოცემულობის სახით, რომლის ფარგლებშიც სუბიექტი წინასწარ იძენს უნარს, განსაზღვროს თუ რა შედეგი შეიძლება დააყენოს მისმა მოთხოვნამ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და საზოგადოებაში წამოჭრილი საკითხების დარეგულირებაში სახელშეკრულებო სამართალს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. უკვე მყარად დამკვიდრებული ხელშეკრულების სამართლებრივი ფორმების მხრებზე იბადება ახალი, ნოვაციური ურთიერთობის ფორმები, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი მაკვალიფიცირებელი კონცეპტუალური ნიშან-თვისებები. სახელშეკრულებო ურთიერთობის სწორედ ასეთ ნოვაციურ სახეს წარმოადგენს აღნიშნული ნაშრომის შესწავლის ობიექტი - ფინანსური ლიზინგი.

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში ფინანსური ლიზინგი არის ახლი კონცეფცია იურიდიულ ბრუნვაში არსებულ ადრეულ კომერციულ ფორმებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, მან სწრაფი განვითარება ჰპოვა მსოფლიოს გარშემო, მათ შორის გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რამაც ხელი შუჭყო ცენტრალიზებულად დაგეგმილ ეკონომიკაში გარკვეული დოზით საბაზრო ეკონომიკის ელემენტების დამკვიდრებას.

იმ პირობებში როცა მსოფლიოში სალიზინგო ურთიერთობების უნივერსალური წესი არ არსებობს, ქვეყნები მას შიდასახელმწიფოებრივი ნორმების ფარგლებში საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე არეგულირებენ. თუმცა ყოვლად მიუღებელია ამ მაშტაბის ფინანსური ინსტიტუციის სამოქალაქო ბრუნვაში ჩაშვება, მსოფლიოს სხვა ქვეყნების გამოცდილების იგნორირებით, მითუმეტეს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, როდესაც მსხვილი სალიზინგო კომპანიები საერთაშორისო კერძო სამართლის ფარგლებში ანხორციელებენ მჭიდრო

ურთიერთ თანამშრომლობას. პირიქით აუცილებელია ამ ინსტიტუციის ჰარმონიზაცია, როგორც საერთაშორისო სამართლის ჭრილში, ისე შიდასახელმწიფოებრივი ნორმების სახით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე აუცილებელია, ლიზინგის ინსტიტუციის შესწავლისას, საერთო სამართლის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, ვინაიდან ლიზინგი, როგორც ინსტიტუცია ევროპულ სამართალში, საერთო სამართლიდან შემოვიდა და ქართულ სამართალშიც დაიმკვიდრა ადგილი. ამ მიმართულებით ინსტიტუციის შედარებითი ანალიზი, მოგვცემს საშუალებას დავინახოთ ლიზინგის განსხვავებული რეგულაციის განსხვავებული შედეგები, რაც თავისმხრივ ღირებულებათა გადაფასების საუკეთესო საშუალებაა.

სპეციფიკური საკანონმდებლო ბაზის თვალსაზრისით ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ქვეყნები, რომლებიც ემხრობიან ლიზინგის მიმღებისთვის ეკონომიკური მესაკუთრის სტატუსის მინიჭებას(საფრანგეთი, გერმანია, იტალია, რუსეთი, საბერძნეთი და ა.შ) და ქვეყნები, რომლებიც ემხრობიან ლიზინგის მიმღებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭბას(აშშ, ინგლისი და ა.შ). საქართველო მიეკუთვნება გერმანო-რომანული სამართლის ქვეყნებს, შესაბამისად საქართველოში კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების რეგულაცია ხორციელდება ერთიანი სისტემის შქმნით, ანუ ნორმათა კოდიფიცირებით, რომელიც ლიზინგის შემთხვევაში სპეციალური კანონმდებლობითა (საქართველოს კანონი „სალიზინგო ურთიერთობების ხელშეწყობის შსახებ) და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სახით არის მოცემული. თუმცა ზოგიერთი კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ლიზინგის რეგულაციას კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით სხვა საკანონმდებლო აქთებშიც შევხვვდებით(მაგ. საგადასახადო კოდექსი; გაკოტრების ასპექტები).

ნაშრომი მიზნად ისახავს, ლიზინგის მარეგულირებელი საერთაშორისო კანონმდებლობის; საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული ლიზინგის ნორმების და სასამართლო პრაქტიკის სამართლებრივ ანალიზს იმ შემაფერხებელი გარემოებების აღმოსაფხვრელად, რომელიც ხელს უშლის სალიზინგო ურთიერთობების ეფექტურობის ამაღლებას.

არსებულ კვლევაში, გამოყენებულ მასალებზე დაყრდნობით, მათი ურთიერთშეჯერებით, პირადი მოსაზრებებით მკაფიოდ წარმოჩინდება და გამოიკვეთება ლიზინგის, როგორც იურიდიული ინსტიტუციის დანიშნულება და შესაძლებლობები, მისი ფუნქციის კომპლექსური გაგება და შემეცნების შესაძლებლობა.

Summary

Human – needs, wants, demands. These components are the basis of formation of the society as a phenomenon. Society itself can be described as a union (industrial relationships of the society), which requires to be coordinated for obtaining and protecting the goods that are vital for satisfying its needs and wants. Precisely these needs and wants create civil circulation, which requires managing tools. These managing tools, on the other hand are created by law. With legal norms we are given the possibility to form the demands in a way that enables us to foresee the result of the demand.

Statements above let us conclude that contract law has huge role in regulating civil circulation and solving disputes that might occur in the society. Traditional contractual forms form the base for new, developing ones, that have their own specific characteristics. Exactly this type of new contractual form is financial leasing, which is the research subject of this paper.

Georgia is among those many countries where financial leasing is a novel concept, compared to other, existing contractual forms. In the past decade financial leasing has developed rapidly all over the world, including in developing and in transition economy countries. Despite this fact, nowadays there is no existing universal code for regulating financial leasing and countries regulate this institute according to their national interests with their national law. However, during this process one should not forget that not taking into consideration other countries' experience in this filed is not reasonable, especially when during the economic globalization process big leasing companies are increasing international cooperation within leasing contracts. To benefit from the full potential of financial leasing, it is important to harmonize this institute in both, international and domestic law.

Financial leasing as an institute has developed in the common law countries and then it spread in Europe and in Georgia. Because of this, while studying financial leasing it is important to pay attention to common law countries' experience in this field. Comparative analysis of different regulations will open new horizons and show us different results, which on the other hand will help us to make better conclusions.

The aim of this paper is to provide theoretical analysis of international regulations of financial leasing, domestic law, court decisions and the sources mentioned below, to study the usage of financial leasing as a legal institute and discover its potential in order to find the solution for the problems that are retracting increase of the efficiency of financial leasing.

სარჩევი

აბრევიატურა 8

თავი I - შესავალი 9

თავი II - ლიზინგის წარმოქმნა, განვითარება და თანამედროვე მდგომარეობა 11

2.1. ლიზინგის იურიდიული კონცეფცია, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია 11

2.2. ხელშკრულების თავისუფლების პრინციპი, როგორც ლიზინგის სამართლებრივი რეგულაციის საწყისი. 14

2.3. ლიზინგის მომწესრიგებელი საერთაშორისო აქტები და გამიჯვნის კრიტერიუმები 16

2.4. ლიზინგი ქართული სამართლის მიხედვით 22

თავი III - ლიზინგი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი 24

3.1. ლიზინგის ცნება 24

3.2. ლიზინგის ხელშეკრულების საგანი 30

3.3. ლიზინგის სახეები და მათი მიმართება სხვა სამართლებრივ გარიგებებთან 32

3.3.1.საოპერაციო ლიზინგი 32

3.3.2.ფინანსური ლიზინგი 34

3.3.3. ლიზინგის სხვა სახეები 35

თავი IV - ლიზინგის უფლების რეგისტრაცია 39

4.1. ლიზინგის უფლების რეგისტრაცია მოძრავ და უძრავ ნივთებზე 39

თავი V - ლიზინგის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები და ლიზინგის ხელშეკრულების მოშლის უფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვები 43

5.1. მხარეთა უფლებები და მოვალეობები 43

5.2. ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა 44

5.3. ლიზინგის საგნის დაბრუნება 45

დასკვნა 46

ბიბლიოგრაფია 47

აბრევიატურა

ქართულ ენაზე:

გვ.	გვერდი
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
შდრ.	შედარებით

უცხოურ ენაზე:

თავი I - შესავალი

<u>თემის აქტუალურობა.</u> საქართველოს და არა მხოლოდ საქართველოს სამომხმარებლო ბაზრზე, დღეის მდგომარეობით, აქტუალურია დაფინანსების ისეთი ალტერნატიული წყაროების გამოყენება, როგორიცაა ლიზინგი. ვინაიდან, არც თუ ისე მდიდარია ლიზინგთან დაკავშირებული ქართული სამეცნიერო ლიტერატურა, შეუძლებელი ხდება აღნიშნული ფინანსური ინსტიტუციის უხარვეზოდ ჩაშვება სამოქალაქო ბრუნვაში. მითუმეტეს იმ პირობებში როცა ხშირია სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხის განხილვისას, მისი ტრანსფორმირება სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობების სახით. მეტიც, ვინაიდან ლიზინგის მომწესრიგებელი ნორმები ბუნდოვანია და იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას, არსებობს შემთხვევები როცა პრაქტიკულად იდენტურ საქმეებზე სხვადასხვა მოსამართლე იღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას. არაერთგვაროვანი მიდგომა კი ზოგადად არა მხოლოდ ლიზინგის ინსტიტუციას, არამედ მართლმსაჯულების განხორციელებას უქმნის საფრთხეს. რაც თავის მხრივ იწვევს ანღნიშნული ინსტიტუციის მიმართ უნდობლობას, რადგან მაღალია ხელშეკრულების მხარეების მხრიდან აღნიშნული ხარვეზების ბოროტად (არაკეთილსინდისიერად) გამოყენების რისკი. ან სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების სახით ისეთი სამართლებრივი ურთიერთობის დადგენა ან ვალდებულების დაკისრება, რომელიც მხარის/მხარეების თავდაპირველ ნებას არ ასახავს. ნების ავტონომია კი კერძო სამართლის მთავარი ქვაკუთხედია.

<u>ნაშრომის მიზნები და ამოცანები.</u> წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია კერძო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე ახალი, მოთხოვნადი, ინსტიტუციურად გაუმართავი და ამავდროულად ძალიან მოქნილი სახელშეკრულებო ურთიერთობის, სახელშეკრულებო სამართლის ფარგლებში არსებული

ფინანსური ინსტიტუციის - ლიზინგის, მისი სამართლებრივი რეგულაციისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. გამომდინარე აქიდან, მნიშვნელოვანია ლიზინგთან დაკავშირებული, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხარვეზების გამოვლენა. ნაშრომში მკაფიოდ წარმოჩინდება ყველა ის ხარვეზი, რომელიც ხელს უშლის ლიზინგის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. ასევე ნაშრომში განხილული იქნება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი და მისი როლი ლიზინგის არა როგორც ფინანსური ინსტიტუციის, არამედ, როგორც სამართლებრივი დისციპლინის საწყისი, რაც მოგვცემს საშუალებას გავიგოთ მისი სამართლებრივი ბუნება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ლიზინგის არსის და შემდგომ უკვე მიზნის იდენტიფიცირებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ლიზინგის გამიჯვნას სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებისგან ან პირიქით წარმოაჩენს მას, როგორც სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობების შერწყმის შედეგს. ნაშრომი ასევე ფართოდ მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ლიზინგის ნორმების განხილვას და მათ შედარებას სხვადასხვა სახელშეკრულებო, თუ სანივთო უფლებებთან.

<u>ნაშრომის ინფორმაციული ხაზი.</u> ამ საკითხთან მიმართებით არსებობს სამართლებრივად გამართული ნაშრომები, რომლებიც კარგი საშუალებაა მოცემული კვლევის განსახორციელებლად.

<u>გამოყენებული მეთოდოლოგია.</u> სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, შედარებით-ისტორიული, სისტემური, ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

<u>ნაშრომის სტრუქტურა.</u> ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, თავების, შესაბამისი ქვეთავების, დასკვნისა და მითითებული გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი II - ლიზინგის წარმოქმნა, განვითარება და თანამედროვე მდგომარეობა

2.1. ლიზინგის იურიდიული კონცეფცია, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია

ლიზინგი - „lease" ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ქონების გადაცემას დროებით, განსაზღვრული ვადით.

ლიზინგის ხელშეკრულება, როგორც ეკონომიკაში ფულადი სახსრების ინვესტირების ახალი ფორმა, წარმოიშვა მეცხრამეტე საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კი მეოცე საუკუნის შუა წლებში. არსებობს მოსაზრება, რომ ლიზინგს არსებობას ათასწლოვანი ისტორია აქვს. ეკონომისტები ლიზინგის კვალს პოულობენ ჯერ კიდევ ძველი შუმერების სახელმწიფოში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში და ხამურაბის კანონებში (1792-1750 წწ. ჩვენს წელთ-აღრიცხვამდე). ასევე მიიჩნევენ, რომ იუსტინიანეს ინსტიტუტებში(483-565 წწ.) განხორციელდა იმ ნორმათა კოდიფიკაცია, რომლებიც აწესრიგებდნენ სალიზინგო ურთიერთობებს.[1] ისტორიკოსთა ნაწილის აზით არისტოტელელეც კი შეეხო ლიზინგის შესახებ იდეას ტრაქტატში "სიმდიდრის არსი არის გამოყენება და არა საკუთრების უფლება". ასევე არსებობს მსგავსება ძველი ფინიკიელების საქმიანობაში, როდესაც ვაჭრობის მიზნით ქირაობდნენ გემებს. მე -11 საუკუნის ვენეციაში ასევე ხორციელდება ლიზინგური გარიგების მსგავსი ოპერაციები, გემების მეპატრონეთა მიერ ძვირადღირებული ღუზების გაქირავებით ვაჭრებზე იმ პირობით, რომ მოგზაურობის დასრულების შემდეგ ღუზები დაუბრუნდებოდა

[1] ძლიერიშვილი.ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვ,5/2004-4,გვ.502

გამქირავებელს. 1284 წელს შექმნილი უელსის წესდებაც გვამცნობს, რომ დიდ ბრიტანეთშიც მიმდინარეობდა მსგავსი ოპერაციები. [2]

ლიზინგის ფართოდ გამოყენება აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მეტწილად განაპირობა სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებამ. სწორედ ამ პერიოდში წარმოიშვა პირველი სალიზინგო კომპანიები, რომლებმაც დაიწყეს სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა საჭირო მოწყობილობების შეძენა მწარმოებლებისგან შემდგომში ამ ქონების იჯარით გადაცემის მიზნით. ანალოგიური პროცესები განვითარდა იაპონიაშიც. ამჯამად კი ლიზინგის ხელშეკრულება გამოიყენება თითქმის ყველა ქვეყანაში. სალიზინგო ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით ზოგიერთ ქვეყანაში მიიღეს სპეციალური ნორმატიული აქტები(მაგ. საფრანგეთმა სპეციალური კანონი მიიღო 1966 წლის 2 ივლისს, ინგლისმა შესაბამისი აქტი-1965 წელს და ა.შ.).

უმრავლეს შემთხვევაში ლიზინგი განიხილება იჯარის ხელშეკრულების ნაირსახეობად და წესრიგდება სახელშეკრულებო სამართლის იმ ნორმების მეშვეობით , რომლებიც სახელშეკრულებო სამართლის თავში არის მოცემული. ზოგიერთ ქვეყანაში კი სადაც არ არის სპეციალური საკანონმდებლო ნორმები, სპეციალური წესები დამკვიდრდა სასამართლო პრაკტიკის მეშვეობით(მაგ. გერმანია იაპონია და ა.შ).[3] სხვადასხვა ქვეყნების მიერ ლიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივ მოწესრიგებაში არაერთგვაროვანმა მიდგომამ განაპირობა 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენციის „საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ“ და 2008 წლის 13 ნოემბრის რომის მოდელური კანონის შექმნა . სამწუხაროდ

[2] ღუდუშაური ა., ლიზინგი და მისი შესაძლებლობანი , სამართალი, N11-12, 1993,გვ53 .
[3] ძლიერიშვილი.ზ.,ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა,5/2004-4.გვ.502

აღნიშნული ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა ერთიანი,უნივერსალური სალიზინგო სისტემის ჩამოსყალიბებლად.

ლიზინგის რეგულირების სპეციფიკური საკანონმდებლო ბაზის არსებობის თვალსაზრისით ქვეყნები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყს: რომანო - გერმანულ და ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებად. რომანო-გერმანული სამართლისთვის დამახასიათებელია ლიზინგის მიმღებისთვის იურიდიული მესაკუთრის სტატუსის მინიჭება, ხოლო ანგლო საქსური სამართალი ლიზინგის მიმღებს ეკონომიკურ მესაკუთრედ ცნობს. საქართველო, როგორც რომანო-გერმანული სამართლის ქვეყანა სალიზინგო ურთიერთობების რეგულაციას ანხორციელებს სპეციალური სალიზინგო კანონმდებლობის საფუძველზე, თუმცა რეგულირების ზოგიერთი ასპექტი მოცემულია საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებშიც.[4]

საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 7 მაისს მიიღო "კანონი სალიზინგო საქმიანობის შესახებ". კანონის მიზანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ლიზინგის ხელშეკრულებით წარმოშობილ ურთიერთობათა განვითარება და სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობა.[5] სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ლიზინგის აქტიური გამოყენება სამოქალაქო ბრუნვაში - დაფუძნდა რამოდენიმე სალიზინგო კომპანია, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის პროპორციულად განვითარდნენ და დღეის მდგომარეობით ქვეყნის ფინანსურ ბაზარზე წამყვანი პოზიცია უჭირავთ(მაგ.საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია, „საქართველოს სალიზინგო კომპანია" და თბსი ბანკის შვილობილი კომპანია „თბს ლიზინგი").

---

[4] კიკუტაძე ვ., ლიზინგის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები მშენებლობაში, სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,თბილისი,2008,გვ.6

[5] კახაძე, ლიზინგის ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი, IV I, 2001

2.2. ხელშკრულების თავისუფლების პრინციპი, როგორც ლიზინგის სამართლებრივი რეგულაციის საწყისი.

ადამიანი - საჭიროება, მოთხოვნილება და მოთხოვნა. ეს კომპონენტები არის საზოგადოების, როგორც მოვლენის წარმოქმნის საფუძველი. საზოგადოება კი თავის მხრივ სოციუმია(საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობა), რომელიც საჭიროებს კოორდინაციას იმ სამართლებრივი სიკეთეების მისაღებად და შემდგომ უკვე დასაცავად, რაც აუცილებელია ინდივიდთა საჭიროებების და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული მიზნის მიღწევის საშუალება კი მხოლოდ ერთია - სახელმწიფო ანუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, რომელსაც მას ანიჭებს მასშივე მცხოვრები საზოგადოების უმრავლესობა; სახელმწიფოს არსებობა არის არა თვითმიზანი, არამედ განსაზღვრული მიზნის მიღწევის საშუალება. მისი უმთავრესი ფუნქცია გახლავთ საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, რასაც ის ახერხებს სამართლის საყოველთაო აღიარებით, ანუ ნორმათა ერთობლიობით, რომლითაც ის პირველ რიგში იზღუდავს უფლებამოსილებებს და შემდგომში ადგენს ქცევის ზოგად წესებს ზემოხსენებული საზოგადოების მოთხოვნიდან გამომდინარე. შესაბამისად ინდივიდის თითოეული ქმედება, რომელიც მიმართულია კონკრეტული შედეგის დასაყენებლად, რეგულირდება/უნდა დარეგულირდეს ამ ქმედების შინაარსიდან გამომდინარე, კონკრეტული სამართლით(კერძო,საჯარო) და მასში არსებული კონკრეტული ნორმებით.

ამ მოცემულობაში, როცა კაცობრიობა განვითარების(ევოლუციის) ახალ შედეგებს იმკის, ჩნდება ეკონომიკური წინსვლისთვის აუცილებელი ისეთი სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა, რომელიც ნოვაციურ ფინანსურ ურთიერთობას სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევს. რაც თავის

მხირვ გაამარტივებს მოთხოვნის (მოთხოვნა - საჭიროების და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება) დაყენების შესაძლებლობას. ობიექტურად, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ინდივიდისთვის საბაზრო ბრუნვაში, ნორმა წარმოადგენს მოთხოვნამდე მისასვლელ ერთადერთ ლეგიტიმურ საშუალებას.

ადამიანის, როგორც გონიერი არსების შემოქმედებას საზღვრები არა აქვს. მისი ყოველი ახალი მიგნება(ჩვენს შემთხვევაში ახალი ფინანსური ინსტიტუცია) სანამ დაიმკვიდრებს თავს სამოქალაქო ბრუნვაში, რეგულირდება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ნების ავტონომიის საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10.-ე მუხლის მეორე ნაწილი განმარტავს , რომ სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება. შესაბამისად არ არის სავალდებულო მხარეების მიერ დადებული ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსში ან სხვა კანონში პირდაპირ იყოს გათვალისწინებული.[6] რაც ხაზს უსვავს ადამიანის, როგორც გონიერი არსების შესაძლებლობებს და აძლევს გასაქანს მის შემოქმედუნარიანობას.

სალიზინგო ურთიერთობები, მისი მაღალი ბრუნვაუნარიანობიდან გამომდინარე, როგორც მოსალოდნელი იყო, მალევე ჩამოყალიბდა საერთაშორისო ინსტიტუტად, რამაც განაპირობა მისი მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობის ჩამოყალიბება.

[6] ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, .„სამართალი“,თბ,2011გვ.90

2.3. ლიზინგის მომწესრიგებელი საერთაშორისო აქტები და გამიჯვნის კრიტერიუმები

ფინანსური ინდუსტრიის განვითარებამ, სახელმწიფოთშორისი კომერციული ტრანზაქციების ზრდის ტენდენციამ და ეკონომიკური ბარიერების მოხსნამ წაახალისა სახელშკრულებო ურთიერთობების ახალი ფორმების ჩამოყალიბება, ვინაიდან სახელშეკრულებო ურთიერთბების მარეგულირებელი ნორმების უკვე არსებული სამართლებრივი ბაზა არ იძლეოდა აღნიშნული ინოვაციური იდეების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად შეიქმნა აუცილებლობა ისეთი სამართლებრივი ურთიერთობის შექმნის, რომელიც შესაძლებელს გახიდა ბაზარზე ახლად წარმოქმნილი საჭიროებებისა და გამოწვევების დაკმაყოფილებას. ახლად წარმოშობილი ხელშეკრულებების რიცხვს მიეკუთვნება ფინანსური ლიზინგიც, რომელიც თავდაპირველად წარმოადგენდა სხვადასხვა ტრადიციული სახელშეკრულებო ურთიერთობების შერწყმის შედეგს, თუმცა თითოეული სამართლის სისტემაში , დროთა განმავლობაში, შეიძინა კონცეპტუალური ავტონომია და სპეციფიკური მახასიათებლები.

საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტით ლიზინგის დეფინიცია დახასიათებულია, როგოც შეთანხმება, სადაც ლიზინგის გამცემი გადასცემს ლიზინგის მიმღებს გადახდის ან გადახდის სერიების სანაცვლოდ ამ ქონების გამოყენების უფლებას შეთანხმებული პერიოდით.[7] ბუღალტრული სტანდარტისგან განსხვავებით, ლიზინგის, როგორც სამართლებრივი მოცემულობის სტაბილიზაცია და სრული ჰარმონიზაცია საერთაშორისო ბაზარზე ჯერ კიდევ არ არის მიხწეული. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების მცდელობა მოერგოთ ლიზინგი უკვე არსებული საერთშორისო

[7] ACCA (2012) "Financial Reporting (FR)" kaplan publishing pg.276 <https://kaplanpublishing.co.uk/acca/applied-skills/financial-reporting

ფორმებისთვის უგულვებელყოფდა ლიზინგის სამართლებრივ ბუნებას და ეკონომიკურ მნიშვნელობას. მხოლოდ ზოგიერთმა კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებმა შეიმუშავეს სპეციალური კანონი ამ ურთიერთობის დასარეგულირებლად. დანარჩენ ქვეყნებში სადაც ეს ურთიერთობა ჯერ კიდევ არ იყო დამკიდრებული, მოსამართლეებს მოუწიათ მიემართათ აქამდე არსებული მსგავსი ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობისთვის (კანონის ანალოგია), რამაც გამოიწვია მათ მიერ თითქმის იდენტურ საქმებზე არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღება. რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებს, მათმა განსხვავებულმა სამართლებრივმა სისტემამ გამოიწვია ფუნდამენტური განსხვავება კონტინენტური ევროპის სამართლებრივ მიდგომასთან შედარებით.

ამ ყველაფერმა ისედაც რთული და ჩახლართული საერთაშორისო ურთიერთობების მარეგულირებელი სისტემის ჰარმონიზიის პროცესი კიდევ უფრო გაართულა. გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ გააცნობიერა რამდენად მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული მიმართულებით საერთო პრინციპებისა და შხედულებების ქონა, "UNIDROIT"-ი გამოვიდა ინიციატივით - გამოკვლეულიყო საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის ოპერაციების ერთიანი მარეგულირებელი წესების შექმნის შესაძლებლობები, რასაც შედეგად მოჰყვა ოტავის საერთაშორისო კონვენციის შექმნა 1988 წლის 28 ოქტომბერს.[8]

კერძო სამართლის უნიფიკაციის ჩარჩოებში საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ, 1974 წელს შექმნილი ჯგუფის 14 წლიანი მუშაობის შედეგად 1988 წლის 28 მაისს ოტავაში (კანადა) მიღებული იქნა კონცენცია „საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ"(Convention on international

[8] Roshi U., A Legal Analysis Of Financial Leasing And Its Unification By Unidroid, European International Virtual Congress Of Researches,ISSN 2059-2752,2016.pg 15-16. https://www.idpublications.org/wp-content/uploads/2016/03/Full-Paper-A-LEGAL-ANALYSIS-OFFINANCIAL-LEASING-AND-ITS-UNIFICATION-BY-UNIDROIT.pdf [20.06.2020]

Financial leasing),[9]რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის პირველ მაისს. კონვენციის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ იურიდიული წინააღმდეგობების აღმოფხვრა, რომელიც ფინანსურ ლიზინგთან იყო დაკავშირებული, ასევე იჯარის ტრადიციული ორმხრივი ხელშეკრულების ადაპტირება სამმხრივთან და ლიზინგის მხარეთა უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი ერთგვაროვანი ნორმების ჩამოყალიბება.[10] ოტავის კონვენციით დადგენილი სტანდარტების დაცვა მნიშველოვანია, ვინაიდან მის პრეამბულაში მოწესრიგებულია ლიზინგის ტრანზაქციაში მონაწილე მხარეთა ინტერესების თანაბარი დაცვა.

ოტავის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, კონვენციის ნორმები ვრცელდება მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე. თუმცა ფაქტია, რომ კონვენციაში მოცემული პრინციპები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნებიში ლიზინგის შიდასახელმწიფოებრივი ნორმების ფორმირებაზე. ოტავის კონვენციის ძირითად მიზნებს წარმოადგენს: სამხრივი ურთიერთობების აღიარება; ლიზინგის გამცემის პასუხისმგებლობის შეზღუდვა მესამე პირის წინაშე; ლიზინგის საგნის ხარისხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის მიმწოდებლისთვის დაკისრება; ლიზინგის გამცემის ქონებრივი ინტერესების დაცვა ლიზინგის მიმღების გაკოტრებისას;

[9] კონვენციას ხელი მოაწერეს შემდეგმა სახელმწიფოებმა: განა(28.05.1988), ნიგერია (28.05.1988), ფილიპინები(28.05.1988), მაროკო (04.07.1988), ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა (28.05.1988) საფრანგეთი (07.11.1989), ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა (16.05.1990), ფინეთი (30.11.1990) იტალია (13.12.1990), ბელგია (21.12.1990), აშშ (28.12.1990), პანამა (31.12.1990) ;Magnus Ulrich,Globa Trade Law " International business law of the United Nation and Unidroid Collection of Uncitral's Conventions, model acts, Guides and principes"European law Publishers, 2004,p423
იხ.< https://www.unidroit.org/status-leasing-conv-1988> [20.06.2020]

[10] საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენცია. https://www.jus.uio.no/lm/unidroit.financial.leasing.convention.1988/landscape.letter.pdf [20.06.2020]

ლიზინგის გამცემის დაცვა ლიზინგის მიმღების მიერ ვალდებულების დარღვევისას.[11]

აღნიშნული კონვენციის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, სალიზინგო ურთიერთობის დასადგენად აუცილებელია, რომ ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული იყოს:

ა) ლიზინგის მიმღების შესაძლებლობა, თავად აირჩიოს ლიზინგის საგანი და მიმწოდებელი.

ბ) ლიზინგის გამცემის მხრიდან უნდა მოხდეს საგნის შეძენა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, თან ისე, რომ ამ გარემობის შესახებ გამყიდველისთვის იყოს ცნობილი.

გ) ლიზინგის საზღაურში უნდა შედიოდეს ლიზინგის საგნის ამორტიზაციის ხარჯი.[12]

Model Law on Leasing, ანუ 2008 წლის 13 ნოემბრის კანონი წარმოადგენს ოტავის კონვენციის შემდგომ განვითარებას და მიზნად ისახავს დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს აღმოფხვრან სალიზინგო ურთიერთობების ნორმატიული რეგულირების ხარვეზები, განვითარებულ ქვეყნებთან ეფექტიანი ურთიერთ თანამშრომლობის ფორმატით და ნორმათა ჰარმონიზაციით.

ლიზინგის შესახებ სამოდელო კანონი 24 მუხლისგან შედგება, მათ შორის ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება მუხლს, რომელიც განსაზღვრავს ლიზინგის არსს(კონცეფციას) და წარმოაჩენს მას, როგორც დამოუკიდებელ, თვითმყოფად სახელშეკრულებო ურთიერთობას.

---

[11] Kronke H.., Financial Leasing and its Unification by UNIDROIT – General Report, Uniform Law Review, 2011-1/2,31,32,33.

[12] საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენცია, მუხლი1, პუნქტი2. https://www.jus.uio.no/lm/unidroit.financial.leasing.convention.1988/landscape.letter.pdf> [20.06.2020]

სამოდელო კანონით ლიზინგის კონცეფცია განვითარებულია ორი ძირითადი მიმართულებით

ა) ოტავის კონვენციისგან განსხვავებით, ლიზინგის საგანი შეიძლება იყოს თითქმის ნებისმიერი ქონება(გარდა მსხვილი საავიაციო მოწყობილობებისა).

ბ) ისეთი ხელშეკრულების არსებობა, რომელიც ერთ პირში აერთიანებს, როგორც მოჯარის ისე ბენეფიციალის თვისებებს.[13]

- ლიზინგის მიმღები ირჩევს ლიზინგის საგანს და მიმწოდებელს;
- ლიზინგის გამცემი ყიდულობს ლიზინგის საგანს ლიზინგის ხელშეკრულების მიზნებისთვის და მიმწოდებლისთვის ეს ცნობილია;
- ლიზინგის მიმღების მიერ გადახდილი საზღაური შეიძლება მოიცავდეს ლიზინგის საგნის ან მისი ნაწილის ამორტიზაციის ხარჯებს;
- ლიზინგის მიმღეს გააჩნია შესაძლებლობა, ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე შეისყიდოს ლიზინგის საგანი ან მისი ნაწილი;[14]

მომხსენებელი ქვეყნებიდან თორმეტის შიდა კანონმდებლობა ანსხვავებს ერთმანეთისგან ოპერაციულ და ფინანსურ ლიზინგს.

ოპერაციული ლიზინგის შემთხვევაში ლიზინგის გამცემი ხელშეკრულებით გადასცემს ლიზინგის მიმღებს ლიზინგის საგანს გარკვეული დროით მფლობელობაში მისი გამოყენების უფლებით. ამ ტიპის ტრანზაქციები გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ლიზინგის

[13] იხ.International institutefor the Unification of private law. Unidroid Model law on leasing, December 2008, <https://www.unidroit.org/english/documents/2008/study59a/s-59a-17-e.pdf> [20.06.2020]

[14] იხ.International institutefor the Unification of private law. Unidroid Model law on leasing, December 2008, <https://www.unidroit.org/english/documents/2008/study59a/s-59a-17-e.pdf> [20.06.2020]

მიმღების ინტერესს წარმოადგენს ახალი აღჭურვილობით სარგებლობის შესაძლებლობა ისე, რომ არ გადაიხადოს აღნიშნული საგნის სრული ღირებულება. ლიზინგის გამცემის ინტერესს კი აინაზღაუროს საკუთარი ინვესტიცია ღირებულების საფასურში და პლიუს ამას მიიღოს მოგება ლიზინგის საგნის გაცემით სხვადასხვა ლიზინგის მიმღებზე სხვადასხვა ლიზინგის პერიოდში.

რაც შეეცება ფინანსურ ლიზინგს, მისი ყველაზე გავრეცლებული კატეგორიზაცია წარმოადგენს სამხრივ ურთიერთობას სადაც ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები წარმოადგენენ ლიზინგის ხელშეკრულების მხარეებს ხოლო ლიზინგის გამცემი და მიმწოდებელი წარმოადგენენ ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს. ანუ ქრონოლოგიურად და ფუნქცურად ეს ურთიერთობა ვითარდება ოთხ ეტაპად.

1) ლიზინგის მიმღები ირჩევს მიმწოდებელს, რომელიც შეიძლება იყოს ლიზინგის საგნის უშუალო მწარმოებელი ან ანხორცილებდეს მის დისტრიბუციას(რომელიც სალიზინგო ურთიერთობებში გათანაბრებულია მწარმოებლის სტატუსთან);
2) ლიზინგის მიმღები აფორმებს ხელშეკრულებას ლიზინგის გამცემთან, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც სალიზინგო კომპანია, ისე ნებისმიერი სხვა ფინანსური ინსტიტუტი
3) ლიზინგის გამცემი დებს ხელშეკრულებას ლიზინგის მიმწოდებელთან, რომელიც თავისმხრივ აწვდის ლიზინგის საგანს ლიზინგის მიმღებს
4) როგორც წესი, ლიზინგის გაცემის პერიოდი განისაზღვრება ლიზინგის საგნის ექსპლუააციის ვადით და ლიზინგის გამცემის ინტერესს არ წარმოადგენს ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნება. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება წარმოადგენს

აღნიშნული ურთიერთობების ფინანსურ ლიზინგად მაკვალიფიცირებელ მთავარ ინდიკატორს.[15]

2.4. ლიზინგი ქართული სამართლის მიხედვით

საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 07 მაისს მიიღო კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“,[16] რომლითაც თითქოს კოდექსისგან განსხვავებით ლიზინგი უკეთ(დეტალურად) იყო მოწესრიგებული. მაგრამ აქტი მალევე გახდა კრიტიკის საგანი, ვინაიდან ლიზინგის კანონის 1-ლი და მე-2 თავის ზოგადი დებულებები, ზოგიერთ პუნქტში ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ტექსტს, ან აყალიბებს გაუგებარ დეფინიციებს და ხელშეკრულების ტიპებს. კანონის მე-3 თავი კი რომლის მიზანია განსაზღვროს ხელშეკრულების მხარეთა უფლება - მოვალეობები გამოუსადეგარია შედეგის დასაყენებლად. მოცემული ნორმები მხოლოდ იმისთის გამოდგება, რომ კანონის ძალა მიანიჭოს საერთაშორისოდ აღიარებულ სახელშეკრულებო დათქმებს, მაგრამ ამავე დროს, ისინი უსაფუძვლოდ ზღუდავენ სახელშეკრულებო თავისუფლებას და ავიწროვებენ ლიზინგის მიმღების უფლებებს.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე კრიტიკოსების აზრით კანონი ეწინააღმდეგება ლიზინგის იურიდიულ ბუნებას და შესაბამისად მის არსს - აღნიშნულ კანონს საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებაში წვლილი არ შეაქვს, პირიქით ის თავისი ანტისისტემურობით და ურთიერთსაწინააღმდეგო ფორმულირებით კიდევ უფრო გაუგებარს და არა

[15] Kronke H. , Financial Leasing and its Unification by UNIDROIT – General Report, Uniform Law Review, 2011, page 26-28. <https://academic.oup.com/ulr/article/16/1-2/23/1727362 > [20.06.2020]

[16] იხ.საქართველოს კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ, 28/05/2002, ძალადაკარგულია, 31.10.2011. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1 [20.06.2020]

ხელმისაწვდომს ქმნის ინსტიტუტს, რომელიც აქამდე შედარებით უფრო მკაფიოდ აყალიბებდა ლიზინგის სამართლებრივ საფუძვლებს.[17]

2011 წლის 13 ოქტომბერს ლიზინგის სფეროში განხორციელებული ძირეული ცვლილებების შედეგად შეიცვალა მიდგომა, რომელის თანახმადაც სამოქალაქო კოდექსი 576-580 მუხლების მეშვეობით ლიზინგს განიხილებოდა, როგორც ქირავნობის ხელშეკრულების ნაირსახეობად. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული ცვლილებების შედეგად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლი ავტონომიური იჯარისა და ქირავნობისგან განსხვავებულ რეგულირებას ითვალისწინებს, ამასთან ფინანსური და ეკონომიკური აღრიცხვის ცნებები არანაირ ზეგავლენას არ ახდენს მხარეთა უფლებებზე და მოვალეობებზე. ასევე, რაც მთავარია გამოიკვეთა ურთიერთობის ლიზინგად მაკვალიფიცირებელი გარემოება - ლიზინგის საერთაშორისო დოქტრინაში აღიარებული სამხრივი ტრანზაქციის ელემენტები.[18]

[17] ვიალი ე.,საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ - კრიტიკული ანალიზი ქართული სამართლის მიმოხილვა,5/2002-4 გვ. 538.

[18] ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 13; 19.

თავი III - ლიზინგი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი

3.1. ლიზინგის ცნება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით :

ა) ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მიმწოდებელს, რომლისგანაც ხდება ქონების შესყიდვა ან მისი სხვაგვარად მიღება.

ბ) ლიზინგის გამცემი ქონებას იძენს ლიზინგით გასაცემად და მიმწოდებლისთვის ეს ფაქტი ცნობილია.

გ) ლიზინგის ხელშეკრულების საგანი არ შეიძლება იყოს ფული, ფასიანი ქაღალდი, წილი ან პაი სამეწარმეო საზოგადოებაში.

ყოველივე ზემოთ თქუმლიდან გამომდინარე, სალიზინგო ურთიერთობების მაკვალიფიცირებელი გარემოებებია: ა) სამხრივად მავალდებულებელი გარიგების არსებობა და ბ) ქონების, ლიზინგის მიმღების მფლობელობაში გადაცემა, ქონების შესყიდვის უფლების ან ასეთი უფლების გარეშე.

ა) ლიზინგი, როგორც სამხრივად მავალდებულებლი გარიგებეა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც

მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

„რადგანაც სამართალი ნების გამოვლენას ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს , თავის მხრივ ისიც მოითხოვს განსაზღვრული პირობების დაცვას.“ ნების ნამდვილობისთვის, ანუ ამ ნების გამოხატვის შედეგად დამდგარი იურიდიული შედეგის ნამდვილობისთვის, აუცილებელია დაცული იყოს მისი, როგორც მატერიალური ისე ფორმალური წინაპირობები. მიუხედავად იმისა, რომ მართალია, გარიგების ძირითადი ბირთვი, ნების გამოვლენაა,ის თავისთავად ვერ იქნება თვითმყოფადი სამართლებრივი ვარგისიანობის თვალსაზრისით. მხოლოდ ნების გამოხატვა ვერ იქნება ის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობებს, რადგან ნების გამოვლენის ნამდვილობა მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული და როგორც წესი ეს გარემოებები სამოქალაქო კოდექსით ან სხვა სპეციალური კანონებით არის განსაზღვრული.[19] ჩვენს შემთხვევაში ნების გამოვლენის მიზანს წარმოადგენს ისეთი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-580 მუხლებით და საქართველოს კანონით „სალიზინგო ურთიერთობების შესახებ.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის 1-ლი ნაწილთ დადგენილია, რომ ლიზინგი არის სამხრივი ურთიერთობა, რომელიც შედგება ლიზინგის მიმწოდებელის, ლიზინგის გამცემისა და ლიზინგის მიმღების უფლება-მოვალეობებისგან, აღნიშნული გარემოება იმპერატიულად არის განსაზღვრული კანონით, როგორც ლიზინგის ხელშეკრულების წარმოქმნის აუცილებელი პირობა. შესაბამისად არ შეიძლება ლიზინგის გამცემის მხრიდან ლიზინგის მომწოდებელთან

[19] ჭანტუია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამ. „სამართალი“,თბ.2011,გვ.292-293.

დადებული ხელშეკრულება ჩაითვალოს დამოუკიდებელ ხელშეკრულებად და გაიმიჯნოს იმ ძირითადი ხელშეკრულებისგან, რომელშიც ლიზინგის მიმღები თავად განსაზღვრავს ქონებას, ირჩევს მიმწოდებელს და რაც მთავარია წარმოიქმნის ურთიერთ მავალდებულებელ გარემოებებს, რომელიც მრავლად არის მოცემული ლიზინგის არა ერთ ნორმაში: მაგ. 577-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად ლიზინგის გამცემსა და მიმწოდებელს შორის არსებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მიმწოდებლის ვალდებულებები არსებობს ლიზინგის მიმღების წინაშე. მაგრამ ამავე მუხლის 2-ე ნაწილი, ლიზინგის მიმღების უფლებას, რომელიც დადგენილია 577-ე მუხლის 1-ლი ნაწილით უარყოფს და მის რეალიზებას ახდენს ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღების მიმართ მიმწოდებლის წინაშე არსებული უფლებების უპირობო დათმობით, რაც თავისმხრივ გამორიცხავს ლიზინგის მიმწოდებლს, როგორც ლიზინგის ხელშეკრულების მხარეს და წარმოაჩენს მას, დამოუკიდებლი ნასყიდობის ხელშემკვრელ მხარედ, რა დროსაც ხელშეკრულების მხარე უთმობს აღნიშნულ სტატუსს მესამე პირს. საერთოდ არ არის აუცილებელი რაიმე დამატებითი პირობების არსებობა აღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად, ვინაიდან ლიზინგის გამცემს უფლება აქვს სამართლებრივი სტატუსი(მდგომარეობა) დაუთმოს არა მხოლოდ ლიზინგის მიმღებს, არამად ნებისმიერ გარეშე პირსაც, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 577-ე მუხლის მე-2-ე ნაწილი ავალდებულებს ლიზინგის გამცემს ზიანის მოთხოვნის ფარგლებში დათმოს ეს უფლება ლიზინგის მიმღების წინაშე, მისი მოთხოვნისთანავე. შესაბამისად ამ ნაწილში ვღებულობთ ნორმათა შორის ურთიერთწინააღმდეგობას(ხარვეზს), რომელიც გამოსწორებადია, თუ მოხდება უფლების დათმობის ინსტიტუტის ამოღება აღნიშნული ნორმიდან - ჩანაწერი ეჭქვეშ აყენებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლით

განსაზღვრულ ლიზინგის არსს და გაუგებარს ხდის მის ცნებას შემდეგი მიზეზების გამო:

1) მოთხოვნის დათმობა დამოუკიდებელი ინსტიტუციაა. ამ უფლების განხორციელება არ არის დამოკიდებული სახელშეკრულებო სამართლის და მათ შორის, თავისთავად, არც ლიზინგის ნორმებში არსებულ მითითებებზე. ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს. მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელსა და მესაემ პირს შორის, რა დროსაც თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს მესამე პირი. შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 577-ე მუხლის მე-2-ე ნაწილი, ლიზინგის მიმწოდებელს არ განიხილავს, როგორც ხელშეკრულების მხარეს, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ლიზინგის ხელშეკრულების არსს და აქცევს ლიზინგის გამცემს გამქირავებლად/მეიჯარედ და ლიზინგის მიმღებს მოქირავნედ/მოიჯარედ.

2) იქმნება შთაბეჭდილება, რომ კანონმდებელი ერთის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 577-ე მუხლის მეორე ნაწილით ცდილობს დაიცვას ლიზინგის მიმწოდებელი ზიანის ანაზღაურების ორმაგი მოთხოვნისგან, რაც თავისმხრივ ზედმეტია, ვინაიდან ანაზღაურების ვალდებულებას განსაზღვრავს ზიანის ოდენობა და არა პირთა წრე, რომელსაც მიადგა ეს ზიანი(არააქ მნიშვნელობა ერთ პირს მიადგა ზიანი, თუ ათასს, ზიანის ოდენობა ამით არ იცვლება) და მეორეს მხრივ ხაზს უსვავს ლიზინგის

მიმღების მომატებულ ინტერესს ლიზინგის საგნის მიმართ, ლიზინგის გამცემთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით აღნიშნული ნორმა ძალიან საინტერესოა, ვინაიდან ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც მფლობელის ინტერესი საგნის მიმართ ხარისხობრივად ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მესაკუთრის. (შეეხე ლიზინგის გამცემის მიზანს და დაასაბუთე)

3) ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარე აღნიშნული ხელშეკვრით ემსახურება საკუთარ მიზანს. იმ პირობებში როცა ლიზინგის მიმღები თავად განსაზღვრავს ქონებას, ირჩევს მიმწოდებელს, ფლობს ნივთს და შემდეგ უკვე იყენებს მას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა ანიჭებდეს მას უფლებას ლიზინგის ხელშეკრულების ფარგლებში, საგნის მწარმოებელთან გააჩნდეს პირდაპირი მოთხოვნა. ვინაიდან მესაკუთრეს, ჩვნეს შემთხვევაში ლიზინგის გამცემს არანაერი ინტერესი და ცოდნა არ გააჩნია საგნის, მისი ტექნიკური მახასიათებლების და საჭიროებების შესახებ, მეტიც ლიზინგის ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე გამცემის ინტერესს საერთოდ არ წარმოადგენს ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნება ან მისი მოვლა პატრონობა. აღნიშნული ხელშეკრულებაში ლიზინგის გამცემის მონაწილეობის მიზანი, მხოლოდ მის ხელთ არსებული ფინანსური რესურსის სარფიანი განაწილებაა. შესაბამისად სახეზეა მხარეთა ნების, მათი ინტერესების უგულვებელყოფა.

ბ) ლიზინგის გამცემი ქონებას იძენს ლიზინგით გასაცემად და მიმწოდებლისთვის ეს ფატი ცნობილია:

იმ პირობებში როცა ლზინგის გამცემს , ლიზინგის საგნის მიმართ, პრაქტიკული ინტერესი არ გააჩნია, იბადება კითხვა, რატომ გადადის ლიზინგის საგანი მის საკუთრებაში, რითია გამოწვეული მსგავსი მიდგომა? რა არის ამაში განსაკურებული რაც ლიზინგს განასხვავებს სხვა ხელშეკრულებებისგან - ქირავნობა, იჯარა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ლიზინგის ხელშეკრულება მოიცავს ქირავნობის, ნასყიდობის და ნარდობის ხელშეკრულებებს,[20] თუმცა ამავე სასამართლოს სხვა განჩინებით, ლიზინგის ხელშეკრულება გაიგივებულია სესხის, ქირავნობის და განვადებით ნასყიდობასთან.[21] საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ განვადებით ნასყიდობისას მყიდველი მესაკუთრე ხდება ხელშეკრულების დადებისთანავე.[22]

იმისათვის, რომ გავიაზროთ, თუ რითია გამოწვეული კანონმდებლის მიდგობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლთან მიმართებით, აუცილებელია ლიზინგის არსის ფარგლებში შევეხოთ ლიზინგის საგანს, ლიზინგის ხელშეკრულების მხარეთა ინტერესს - კანონმდებელმა ერთმანეთისგან განაცალკევა საკუთების კონცეფცია: საკუთრებად და მფლობელობად.

[20] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 20/02/2019; 2ბ/-1246-2018
[21] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, 18/09/2018; 2/ბ-839-2018,
[22] საქაართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 12/02/2018/ №ას-691-1021-07

3.2. ლიზინგის ხელშეკრულების საგანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ლიზინგის საგანი შეიძლება იყოს, როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება.[23]

ლიზინგის საგნის სამართლებრივი ბუნების განსაზღვირისას მნიშვნელოვანია სსკ-ით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინება. ლიზინგის საგანი არ შეიძლება იყოს ფული, ფასიანი ქაღალდი, წილი ან პაი სამეწარმეო საზოგადოებაში.[24]

„ლიზინგის საგნის განსაზღვრა აუცილებელია ლიზინგის ტრანზაქციაში. ლიზინგის საგნის თავისებურება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მხარეთა უფლება-მოვალეობების შინაარსზე. მაგალითად, ერთ-ერთ დავაზე ლიზინგის საგნის მიწოდების საკითხის გადაწყვეტისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ლიზინგის საგნის სამართლებრივ ბუნებას მიენიჭა. მხარის განმარტებით, ლიზინგის ხელშეკრულებით მისაწოდებელი საქონელი ცალ-ცალკე აღებული, წარმოადგენს მოძრავ ნივთებს, რომლებიც არ არის ერთმანეთის შემადგენელი ნაწილები, მაგრამ განკუთვნილია ერთმანეთის სამსახურისთვის და დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით. აღნიშნულის გამო, მისი აზრით, „თუნდაც ერთი რომელიმე მოწყობილობის მიუწოდებლობა ითვლება კომპლექტის შეუვსებლობად და გამორიცხავს დანარჩენის გამოყენების შესაძლებლობას. საოლქო სასამართლომ კი მიიჩნია, რომ „ლიზინგის მიმღებისათვის გადასაცემი ქონება წარმოადგენს კონკრეტული, ცალკეული ნივთების ერთობლიობას. სასამართლოს დასკვნით, ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის გადაცემული არ ყოფილა ნივთობრივად ნაკლის მქონე არც

[23]იხ. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ. მუხლი 11.1.1 „ი“,შდრ.მუხლი 16.1 „ბ“
[24]საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24.07.1997, მუხლი 576, ნაწილი 4. https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102 [13.06.2020]

ერთი ნივთი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლიზინგის ქონების არასრული გადაცემა ლიზინგის მიმღებისათვის განპირობებული იქნა ლიზინგის გამცემის მიერ ხელშეკრულების ვადამდე მართლზომიერი შეწყვეტით."[25]

ქვეყნები შიდასახელმწიფოებრივი ნორმებით ადგენენ, თუ რა შიძელბა იყოს ლიზინგის ობიექტი. მაგ. ლიზინგის ქართული კანონმდებლობით მოწესრიგებისგან განსხვავებით, ბელორუსიაში მიწის ნაკვთის და ბუნებრივი რესურსების ლიზინგის ხელშეკრულების საგნად გამოყენება დაუშვებელია. მსგვსი მიდგომაა რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობაშიც, „იგი უპირველეს ყოვლისა კრძალავს საწარმოს უკუქცევით და არა მიმოქცევად აქტივებზე ლიზინგის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ მატერიალური ე.ი საგნობრივი ფორმა."[26]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ლიზინგის საგანი შეიძლება იყოს უძრავი ნივთიც. ამავე კოდექსის თანახმად, უძრავი ნივთი არის მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მასში აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობანაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. უძრავი ქონების ლიზინგად გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს საგადასახადო კოდექსის რეგულაციები, ვინაიდან არსებობს გარემოებები, რომლებსაც არ არეგულირებს სამოქალაქო კოდექსი, კერძოდ უძრავი ქონების ამორტიზაცია. აღნიშნული ტერმინი დღევანდელ სამოქალაქო კოდექსში არ მოიძებნება, მას მხოლოდ საგადასახადო კოდექსში თუ შევხვდებით. მაგრამ საერთაშორისო დონეზე, კერძოდ ოტავის საერთაშორისო კონვენციის 1-ლი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად,

[25] ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016, მუხლი 576, ველი 44.

[26] მეშველიშვილი ს., სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია, მართლმსაჯულება და კანონი, N4(39), 2013, 85. < http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/266112/1/Martlmsajuleba_Da_Kanoni_2013_N4.pdf > [13.06.2020]

სალიზინგო საზღაურის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამორტიზაციის ხარჯებიც.[27] რომის მოდელური კანონით კი აღნიშნული გარემოების ხელშეკრულებაში გათვალისწინება მხარეების ნება-სურვილზეა დამოკიდებული.[28] ამორტიზაცია საგადასახადო ტერმინია და მისი ფუნქცია მდგომარეობს გადასახადის გადამხტელთა გადასახადის შემცირებაში.

„საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის ლიზინგი განიმარტება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ოღონდ იმ პირობით, რომ ლიზინგის საგანი უნდა იყოს ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივი. ამავე კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად კი ამორტიზაცია არ ერიცხება მიწას. აღნიშნული რეგულაციის გამო ქართულ ბაზარზე უძრავი ქონების ლიზინგი საჭიროებს საკანონმდებლო მოწესრიგებას.“[29]

3.3. ლიზინგის სახეები და მათი მიმართება სხვა სამართლებრივ გარიგებებთან

3.3.1.საოპერაციო ლიზინგი

ლიზინგის ხელშეკრულება, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, როგორც წესი იდება ლიზინგის საგნის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის ვადით. მაგრამ ოპერატიული ლიზინგი გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან ამ დროს ხელშეკრულების ვადა

[27] საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენცია, მუხლი1, პუნქტი2. https://www.jus.uio.no/lm/unidroit.financial.leasing.convention.1988/landscape.letter.pdf> [20.06.2020]

[28] იხ.International institutefor the Unification of private law. Unidroid Model law on leasing, December 2008, <https://www.unidroit.org/english/documents/2008/study59a/s-59a-17-e.pdf> [20.06.2020]

[29] კინწურაშვილი.ნ., ლიზინგის მომწესრიგებელი ნორმები და მათი გამოყენების სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2019. გვ7. ციტირებულია.
< https://openscience.ge/bitstream/1/1001/1/samagistro%20kintsurashvili.pdf > [20.06.2020]

გაცილებით ნაკლებია ნივთის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის ვადაზე.

საოპერაციო(Operating leasing) ლიზინგი შეიძლება განიმარტოს, როგორც ქონების განკარგვის ხელშეკრულება, რომელიც ლიზინგის მიმღებისთვის არ წარმოშობს რაიმე მნიშვნელოვან სამომავლო ვალდებულებას. ლიზინგის მიმღებს აქვს საშუალება მოშალოს ეს უკანასკნელი ხელშეკრულება და მის ვალდებულებას წარმოადგენს მხოლოდ გონივრული ვადით ადრე ლიზინგის გამცემისთვის ხელშეკრულების მოშლის შეტყობინება, რის შემდეგაც ქონება მფლობელობაში უბრუნდება ლიზინგის გამცემს. Operating leasing-ის გამოყენება საშუალებას აძლევს ლიზინგლის მიმღებს გააფორმოს მოკლე ვადიანი ხელშეკრულებები და მუდმივად ცვალოს და მოარგოს საკუთარ მოთხოვნებს ქონება, რომელშიც აბანდებს თანხას. ლიზინგის გამცემი ელოდება ლიზინგის საგნის გაცემას მოკლევადიანი ხელშეკრულებებით სხვადასხვა ლიზინგის მიმღებზე სხვადასხვა დროის მონაკვეთში, სხვაგვარად რომ ვთქვათ ლიზინგის გამცემს საშუალება აქვს გასცეს ლიზინგის საგანი რამდენჯერმე მოკლევადიანი ხელშეკრულებებით, დროის სხვადასხვა მონაკვეთში , სხვადასხვა ლიზინგის მიმღებზე. ლიზინგის საგნის ექსპლუატაციის პერიოდში. ამგვარად, ფასი რომელსაც ლიზინგის მიმღები იხდის ამგავრი ხელშეკრულებით წარმოადგენს იმ თანხსი ანარეკლს რომელიც ესაჭიროება ლიზინგის გამცემს იმ რისკის შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი ვერ მოახერხებს ლიზინგის საგნის ხელმეორედ გაცემას ამგვარი ხელშეკრულებით ან გაყიდვას.

საოპერაციო ლიზინგის(Operating leasing)- ის საგანი, როგორც წესი ხშირად მალევე ექვემდებარება ცვეთას, შესაბამისად, უნდა გავითვალისწინოთ, მიუხედაავად იმისა, რომ ამგვარი ხელშეკრულების

დროს ლიზინგის მიმღების მიერ გადახდილი თანხა ითვლება საკმაოდ მაღალ ფასად. [30]

3.3.2.ფინანსური ლიზინგი

ფინანსური ლიზინგი (FINANCIAL LEASE) - სამართლებრივ ურთიერთობაში სამმხრივ ელემენტს გულისხმობს.[31] ლიზინგის ხელშეკრულების განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს გარემოება, რომელშიც ხელშეკრულების მხარეს ლიზინგის გამცემთან და მიმღებთან ერთად წარმოადგენს ლიზინგის საგნის მიმწოდებელი, რომელიც განსაზღვრული გამონაკლისის გარდა არ შეიძლება იყოს ლიზინგის გამცემი. ლიზინგის მიმწოდებელი შეიძლება იყოს ლიზინგის საგნის მწარმოებელი ან პირი რომელიც ანხორციელებს აღნიშნული ნივთის დისტრიბუციას. [32]ის შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს გადახდებს სპეციფიკური პერიოდის განმავლობაში, რომლებმაც უნდა დაფარონ ლიზინგის საგნის თავდაპირველი ღირებულება, მასთან დაკავშირებული ხარჯები და ლიზინგის გამცემის მოგება. ეს პერიოდი, როგორც წესი განისაზღვრება ან აღემატება ლიზინგის საგნის ექსპლუატაციის ვადას. ამ პერიოდის დასრულების შემდეგ ლიზინგის მიმღებს აქვს უფლება ხელმეორედ აწარმოოს მოლაპარაკებები ლიზინგის საგნის მეორე ვადით მისაღებად შემცირებულ(შემცირებულ ფასში იგულისხმება გონივრული ფასი ნივთის ცვეთის კოიფიციენტის გათვალისწინებით) ფასად. თუ აღნიშნული ლიზინგის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

ამგვარი სახის ლიზინგი წარმოშობისას მნიშვნელოვანია სამომავლო გადახდის ვალდებულებების სწორად განსაზღვრა, რაგდან ამ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ლიზინგის მიმღების მიერ არ არის შესაძლებელი. ასევე როგორც წესი არ არის შესაძლებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების

---

[30] Terry, Brian J. (1977) *The leasing industry and the role and evaluation of leasing in corporate financing strategies.* PhD thesis, University of Warwick. Chapter 1, page 2; < http://wrap.warwick.ac.uk/34699/ > [20.06.2020]

[31] Australian Accounting Standards Board, AASB 117, 01.12.2009, 14, <https://www.aasb.gov.au/admin/file/content105/c9/AASB117_07-04_COMPjun09_01-10.pdf> [20.06.2020]

[32] ქოქრიშვილი ქ., „საერთაშორისო ფინანსური ლიზინგი და მისი დამკვიდრების რეალური ასპექტები საქართველოში“, სამართალი, 3 ,2001, გვ. 36

გადახედვა და შეცვლა(რეალურად ხელშეკრულების მოშლა და მოდიფიცირება პრაქტიკაში არსებობს, თუმცა საკმაოდ იშვიათად გვხვდება,).როგორც წესი ამ სახეობის ლიზინგს სხვაგვარად მოიხსენიებენ როგორც fully pay-out lease-ს (თანხის მთლიანად დაფარვა). საოპერაციო ლიზინგისგან განსხვავებით, ფინანსურ ლიზინგში, ლიზინგის მიმღებს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ლიზინგის საგნის შენარჩუნებასა და გაუთვალისწინებელ ხარჯებზე.[33]

3.3.3. ლიზინგის სხვა სახეები.

ზემოთ ხსენებული საოპერაციო და ფინანსური ლიზინგის გარდა განასხვავებენ ლიზინგის სხვა სახეებს:

ა) დაბრუნებითი ლიზინგი/ უკულიზინგი - sale and leaseback

დაბრუნებითი ლიზინგის დროს, ნივთის გამყიდველი და ლიზინგის მიმღები ერთი და იგივე პირია.[34]

რა დროსაც ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები თანხმდებიან იმაზე, რომ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში საკუთრების უფლება კვლავ ლიზინგის მიმღებზე გადავა. ეს არის აუცილებელი წინაპირობა რათა აღნიშნული ხელშეკრულება დაკვალიფიცირდეს უკულიზინგად.[35] დაბრუნებითი ლიზინგი ძალიან გავს ფინანსურ ლიზინგს, ვინაიდან ლიზინგს გამცემის მიზანს და ინტერესს არ წარმოადგენს ლიზინგის საგანი. ასევე ფინანსური ლიზინგის მსგავსად უკულიზინგის დამახასიათებელი ნიშანია ნასყიდობისა და ლიზინგის ხელშეკრულების თანაარსებობა, ორი განსხვავებით - ლიზინგის მიმღები თავად არის ლიზინგის მიმწოდებელი;

---

[33] Terry, Brian J. (1977) *The leasing industry and the role and evaluation of leasing in corporate financing strategies.* PhD thesis, University of Warwick. Chapter 1 page 2 < http://wrap.warwick.ac.uk/34699/ >

[34] ენცო ლ.ვიალი., საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ - კრიტიკული ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002, გვ.530 < http://media.wix.com/ugd/1ee20c_5bb6e6a120a74bf496a72d35ab1698b5.pdf> [20.06.2020];

[35] გეფერიძე დ., საჰაერო ხომალდის ლიზინგი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამართალი, N11-12, 2003, გვ. 73, <http://intlaw.ge/old/publikaciebi/statia%206.PDF> [20.06.2020];

ლიზინგის მიმღებს ვალდებულების შესრულების შემთხვევაში ნივთი უბრუნდება საკუთრებაში.[36] ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე დაბრუნებითი ლიზინგის დროს, ისევე როგორც ფინანსური ლიზინგისას, არსებობს სამხრივად მავალდებულებელი მოცემულობა იმ განსხვავებით, რომ ლიზინგის მიმღები არის ლიზინგის მიმწოდებელი და ის უფლება - ვალდებულებები, რომელიც ლიზინგის მიმწოდებელს აკისრია შეთავსებული აქვს ლიზინგის მიმღებს. ერთადერთი განსხვავება ფინანსურ ლიზინგსა და დაბრუნებითს შორის გახლავთ ხელშეკრულების დასრულების შემდგომ ლიზინგის საგნის საკუთრებაში დაბრუნება. ფინანსურ ლიზინგში რაც მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული, უკულიზინგის მაკვალიფიცირებელი გარემოებაა.

ბ) პირდაპირი ლიზინგი

პირდაპირი ლიზინგის დროს, გამცემი თვითონ არის ლიზინგის საგნის მესაკუთრე ან მწარმოებელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად, ლიზიგის მიმწოდებელი იმავდროულად შესაძლებელია იყოს ლიზინგის გამცემიც, იმ პირობით, თუ მიმწოდებლის ჩვეულებრივი საქმიანობა არის ქონების მიწოდება ან ქონების ლიზინგით გაცემა.

ჩემი აზრით იმისთვის, რომ დავადგინოთ, თუ რა არის პირდაპირი (direct lease) ლიზინგი, აუცილებელია გავიაზროთ, თუ რა აქცევს ლიზინგის საგნის გამცემს ლიზინგის მიმწოდებლად. ნორმის ჯეროვანი განმარტებით ლიზინგის მიმწოდებელი არის პირი, რომელიც ლიზინგის საგნის მწარმოებელია ან საგნის დისტრიბუციას ანხორციელებს და ამავდროულად მისი ჩვეულებრივი საქმიანობა გახლავთ ლიზინგის საგნის გაცემა. გამოდის,

[36] Ronald C. C. Cuming, Model Rules for Lease Financing: A Possible Complement to the UNIDROIT Convention on International Financial Leasing, 3 Unif. L. Rev. n.s., 1998, pg. 378. <https://academic.oup.com/ulr/article-abstract/3/2-3/371/1685287?redirectedFrom=fulltext>

რომ ლიზინგის საგნის მხოლოდ ლიზინგის გამცემის საკუთრებაში ყოფნა, არ არის საკმარისი აღნიშნული ხელშეკრულების ლიზინგად დაკვალიფიცირებისთვის. მეტიც ლიზინგის გამცემი აღნიშნული ხელშეკრულების დადებამდე შესაძლებელია არც იყოს ნივთის მესაკუთრე და მხოლოდ ლიზინგის ხელშეკრულების ფარგლებში მიენიჭოს მას მესაკუთრის სტატუსი. თუ ლიზინგის გამცემის კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილს, აღნიშნული ხელშეკრუება არ იქნება ლიზინგი და მოგვევლინება, როგოც იჯარა ან ქირავნობა.

ბ) კომპენსაციური და შერეული ლიზინგი.

კომპენსაციური ლიზინგის დროს, ლიზინგის მიმღები საზღაურს იხდის პროდუქციით(საქონელი, სამუშაო, მომსახურება).[37]

შერეული ანაზღაურების ლიზინგის გამოყენებისას ლინიგის მიმღები ვალდებულებას ასრულებს, როგორც ფულით ისე პროდუქციით. [38]

გ) სერვისული და სუფთა ლიზინგი

სერვისული ლიზინგი დროს, ლიზინგის ხელშეკრულება ითვალისწინებს გამცემის ან მის მიერ მოწვეული პირის მიერ ლიზინგის საგნის მართვას, დაზღვევას, საგარანტიო მომსახურებას, რემონტს და ა.შ. ხოლო სუფთა ლიზინგის დროს, ლიზინგის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს გამცემის მიერ ლიზინგის საგნის რაიმე სახით მომსახურებას.[39] ასევე არსებობს შუალედური რგოლი, რომელსაც ადგილი აქ

---

[37] ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5,N4,2002, გვ. 512.

[38] კიკუტაძე ვ., ლიზინგის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები მშენებლობაში, სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2008, გვ. 37-38.

[39] იხ. საქართველოს კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ, 28/05/2002, ძალადაკარგულია, 31.10.2011. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1> [20.06.2020];

მაშინ ,როდესაც ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები ინაწილებენ ლიზინგის სანგის მომსახურების ხარჯებს. [40]

ე) ქველიზინგი

ქველიზინგი წარმოადგენს ლიზინგის ფორმის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზედაც ლიზინგის მიმღები, ლიზინგის გამცემის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, გადასცემს ლიზინგის საგანს მესამე პირს.

[40] ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5,N4,2002, გვ. 512

თავი IV - ლიზინგის უფლების რეგისტრაცია

4.1. ლიზინგის უფლების რეგისტრაცია მოძრავ და უძრავ ნივთებზე.

საქართველოს კანონმდებლობით სანივთო უფლებების გარდა სავალდებულო რეგისტრაციას დაექვემდებარა უძრავ ნივთებზე ვალდებულებითი უფლებებიც. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მატერიალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აღნიშნული უფლებების სავალდებულო რეგისტრაციას, საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“ მე-11-ე მუხლით განსაზღვრავს უფლებათა რეესტრში რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებულ უფლებებს და ვალდებულებებს. აღნიშნულ რეგულაციას ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით ექვემდებარება ლიზინგიც.[41] მაგრამ უფლების რეგისტრაციის სავალდებულოობა არ გულისხმობს და არც მიზნად ისახავს კონკრეტული უფლების წარმოშობას ან შეწყვეტას, მისი მიზანია სამოქალაქო ბრუნვაში ამ უფლებათა აღრიცხვა.[42] სავალდებულო რეგისტრაციის დაწესება ვალდებულებითი უფლებების წარმოშობის წინაპირობად არ არის მართებული, ვინაიდან მათი უსაფრთხოება არ არის მატერიალური სამართლის მიხედვით საჯარო ნდობის პრინციპთან დაკავშირებული, ასევე ვალდებულებითი უფლებები არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებებს. [43]

მოძრავ ქონებაზე, რომელიც დაკავშირებულია ლიზინგის უფლების რეგისტრაციის საკითხთან, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ საჯარო რეესტრში და სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებადი ლიზინგის უფლება. საჯარო რეესტრის შემთხვევაში

---

[41] "საჯარო რეესტრის შესახებ"საქართველოს კანონი, 30/12/2008,მე-11 მუხლი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/20560?publication=23 [20.06.2020]

[42] Bamberger, bearbeiter, BGB Online-Kommentar, Mün., Neuberarbeitung 2013,§873, xelmisawvdomia saitze: http://beck-online.beck.de/ , [1.08.2015].

[43] ლაჩაფი ე,. უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებაზე და დაცვაზე,სადისერტაციო ნაშრომი,თსუ,თბილისი 2016, გვ. 15-16 . ციტირებულია. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/ekaterine_lafachi.pdf

არსებობს მოძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაციის შესაძლებლობა, თუმცა აღნიშნული შესაძლებლობა, უფლებაა და არა ვალდებულება - რეგისტრაცია სავალდებულო არ არის, მაგრამ მისი გამოყენებით მესაკუთრეს ეძლევა შესაძლებლობა, ლიზინგის მიმღების მიერ მისი გასხვისების შემთხვევაში დაიცვას საკუთრების უფლება. მოგეხენებათ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ივარაუდება, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე, რაც ნივთის გასხვისების შემთხვევაში შემძენს აქცევს კეთილსინდისიერ მხარედ. საჯარო რეესტრში ნივთის რეგისტრაციის შემთხვევაში კი ეს წესი არ მოქმედებს (უტყუარობის პრეზუმცია).[44]

რაც შეეხება სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახრების სააგენტოს რეგისტრირებად უფლბას მოძრავ ნივთებზე, განსაზღვრულია სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელშიც 2017 წლის 31 ოტოქტომბრის მინისტრის ბრძანებით N532 შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელიც შეეხო ლიზინგის საგნის რეგისტრაციას. აღნიშნული ნორმატიული აქტით ლიზინგის უფლების რეგისტრაცია სავალდებულოა საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებაზე ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე.

ლიზინგის რეგისტრაციისას სააგენტო არ არის პასუხისმგებელი ლიზინგის ხელშეკრულების მხარეების მიერ მიღწეული შეთანხმების შინაარსზე და მისი შეუსრულებლობით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებზე. სააგენტო არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ლიზინგის

[44] რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, 24.12.2017, მუხლი 158, ველი2. http://Civilcode.ge

ხელშეკრულებაში ასახული გარემოებების დამადასტურებელ პირად.[45] აღნიშნული ცვლილების განხორციელების ძირითადი მიზანი იყო ლიზინგის გამცემისთვის გაეადვილებინა ლიზინგის მიმღების მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში საგნის მფლობელობაში დაბრუნება სალიზინგო მოწმობის გაცემის გზით და ამასთან, ლიზინგის გამცემისათვის (მესაკუთრისათვის) თავიდან აეცილებინა „ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 01 დეკემბრის N510 დადგენილების დარღვევის შემთხევაში მითვის ჯარიმის დაკისრება. თუმცა, ქართულ ბაზარზე წამყვანმა სალიზინგო კომპანიებმა უარი თქვეს სააგენტოში ლიზინგის უფლების რეგისტრაციაზე. აღნიშნული კი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საკმაოდ მაღალი ხარჯის გაწევა ლიზინგის გამცემს რეგისტრაციისათვის, ვინაიდან მას ჯერ საკუთარ სახელზე უნდა გაეფორმებინა საგანი და შემდგომ დამატებით გადაეხადა ლიზინგის უფლების რეგისტრაციის საფასური. ამასთან, ორივე რეგისტრაცია უნდა განხორციელებულიყო ერთსა და იმავე დღეს.

სალიზინგო კომპანიებმა მოძებნეს გამოსავალი აღნიშნული სამართლებრივი აქტის მიზნებისთვის სხვაგვარად მიღწევის გზით. კერძოდ,ლიზინგის საგნის მფლობელობაში დაბრუნების თაობაზე განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟი სასამართლო პრაქტიკის თანახმად განისაზღვრა 60 ლარით, შესაბამისად ლიზინგის მოწმობის გამო ლიზინგის უფლების რეგისტრაცია ლიზინგის გამცემისათვის აღარ წარმოადგენს უფრო ხელსაყრელ გზას სამართლებრივი შედეგის მიღწევისათვის. რაც შეეხება ჯარიმების საკითხს, ამ მხრივ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა

[45] საქართველოს მინისტრის ბრძანება N 892 “ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 02.07.2007 https://matsne.gov.ge/ka/document/view/71374?publication=0

ტექნიკური ინსპექტირების ვალდებულების დარღვევის გამო დაჯარიმების საკითხი, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაც ამ მიმართულებით ლიზინგის გამცემის ინტერესების სასარგებლოდ ჩამოყალიბდა.[46][47]

[46] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 26.11.2018, 4/8876-18;
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 15.10.2018, 4/7503-18;

[47] კინწურაშვილი.ნ., ლიზინგის მომწესრიგებელი ნორმები და მათი გამოყენების სასამართლო პრაქტიკა,სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2019. გვ. 44-45. ციტირებულია.

თავი V - ლიზინგის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები და ლიზინგის ხელშეკრულების მოშლის უფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვები

5.1. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-580-ე მუხლებით დადგენილია ლიზინგის ხელშეკრულების მხარეების უფლება-მოვალეობები.

ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე(შესყიდვის უფლება მხარეთა შეთანხმების საგანია),ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით. ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს ქონებას და ირჩევს მიმწოდებელს, რომლისთვისაც აღნიშნული ფაქტი ცნობილია.

ლიზინგის გამცემსა და მიმწოდებელს შორის არსებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მიმწოდებლის ვალდებულებები არსებობს ლიზინგის მიმღების წინაშეც, ვინაიდან ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღების მოთხოვნისთანავე დაუთმოს მას თავისი უფლებები, რომელიც უკავშირდება მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნას. ამასთან ლიზინგის გამცემს არა აქვს უფლება, შეთანხმდეს მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შეცვლაზე, შეწყვეტაზე ან მოშლაზე ლიზინგის გამცემის თანხმობის გარეშე და მიმწოდებელთან დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, რომლებიც გავლენას ახდენს ლიზინგის მიმღების უფლებებზე დასაშვებია, მხოლოდ ლიზინგის მიმღების თანხმობით.

ქონების მიღების შემდეგ ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ ქონება არ შეესაბამება მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობებს. ვინაიდან მიმწოდებელი პასუხისმგებელია, რომ ქონება იქნება ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრულ მდგომარეობაში და გამოდგება იმ სარგებლისთვის, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ გამიზნულია ასეთი ქონება. ლიზინგის მიმღები კი თავისმხრივ პასუხისმგებელია იმ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია მის მიერ ლიზინგის გამცმისთვის ან მიმწოდებლისთვის მიწოდებული ქონების აღწერილობით.

ლიზინგის მიმღებმა სათანადოდ უნდა მოუაროს ლიზინგის საგანს, გამოიყენოს ის მიზნობრივად, იმ დანიშნულებით, რომლითაც, ჩვეულებრივ, ამ ქონებას იყენებენ, და უნდა შეინარჩუნოს ის ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც ჩაიბარა, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით. ლიზინგის საგნის მოხმარების პირობები ასევე შესაძლებელია განისაზღვროს ხელშეკრულებით.

ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას ლიზინგის მიმღები, თუ ის არ იყენებს ქონებას ან არა აქვს უფლება, შეიძინოს ქონება ან ლიზინგით დაიტოვოს ის დამატებითი ვადით, ვალდებულია დაუბრუნოს ქონება ლიზინგის გამცემს, ქონების გონივრული მოხმარებისა და ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

5.2. ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა

ლიზინგის მიმღებისგან განსხვავებით, ლიზინგის გამცემს შეუძლია მოშალოს ლიზინგის ხელშეკრულება, თუ ლიზინგის მიმღები არსებითად არღვევს ლიზინგის ხელშეკრულების პირობებს. თუმცა არსებობს გამონაკლისი რა დროსაც ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია მოშალოს

ლიზინგის ხელშეკრულება - როდესაც ის ვეღარ ახორციელებს მფლობელობას ლიზინგის საგანზე ან ფლობელობის უფლება შეზღუდულია იმ პირის მიერ, რომელსაც უპირატესი უფლება აქვს ქონებაზე და ეს უფლება ან პრეტენზიები გამომდინარეობს ლიზინგის გამცემის ბრალეული ქმედებიდან . ყველა სხვა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ლიზინგის გამცემი შეიძლება არსებითად არღვევდეს ხლშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია მოითხოვოს მხოლოდ ზიანის ანაზღაურება და არა ლიზინგის ხელშეკრულების მოშლა.

5.3. ლიზინგის საგნის დაბრუნება

ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას ლიზინგის გამცემს უფლება აქვს ქონება დაიბრუნოს მფლობელობაში და განკარგოს იგი.

ლიზინგის მიმღებს უფლება აქვს, მოსთხოვოს ლიზინგის გამცემს მისი მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, თუ ლიზინგის გამცემი ქონებას მფლობელობაში დაიბრუნებს ლიზინგის მიმღების მფლობელობის არამართლზომიერი ხელშეშლის გზით, ან თუ ლიზინგის გამცემს არ დაუწესებია დამატებითი ვადა 405-ე მუხლის შესაბამისად. მიუხედავად ზიანის ანაზღაურები მოთხოვნის უფლებისა, ლიზინგის მიმღებს არა აქვს უფლება, მოითხოვოს ლიზინგის საგანზე მფლობელობის აღდგენა.[48]

[48] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 405; 576-580. https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=109

დასკვნა

იურიდიულ მეცნიერებებში დამკვიდრებული კვლევის მეთოდი - სამართლებრივი ინსტიტუტების ცალკეულ კომპონენტებად დაყოფა და შემდგომ უკვე მათი ანალიზი, ისეთი რთული მოცემულობის შესწავლის მიზნით, როგორიცაა ლიზინგი, ვერ იქნება პროდუქტიული მისი იურიდიული ბუნებისა, თუ დანიშნულების შესასწავლად.

გამომდინარე იქიდან, რომ ლიზინგი თავის თავში მოიცავს, თითქმის ყველა დღემდე არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას და მეტიც ლიზინგის საგნიდან გამომდინარე მასზე ვრცელდება სანივთო უფლებებიც, აუცილებელია შევხედოთ არა მის ცალკეულ ნიშანთვისებებს, არამედ მას, როგორც ერთ მთლიანობას. რაც მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ ლიზინგის პრაქტიკული დანიშნულება და მხოლოდ ამის შემდეგ მოვაქციოთ ის სამართლებრივი რეგულაციის ჩარჩოში.

მიუხედავად იმისა, რომ ლიზინგთან დაკავშირებით არსებობს კვლევები, სადაც მოცემულია ლიზინგის სხვადასხვა თვისებებისა თუ მახასიათებლების ანალიზი, ვერცერთი მათგანი ვერ გასცდა და ვერც გასცდებოდა სამართლის თეორიებში უკვე არსებულ სამართლებრივ ფორმებს. სამყაროში სადაც ყველაფერი ერთმანეთს გავს, მეორე ხარისხოვანია მსგავსებების აღმოჩენა, სამართალი არ არის სამყაროს გარეთ, ის მისი ნაწილია და ნებისმიერი მცდელობა გვერდი ავუაროთ ამ მოცემულობას განწირულია წარუმატებლობისთვის. სამართალი არ უნდა აიგივებდეს მიზანს და მიზინის მიღწევის საშუალებებს.

ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე:

გეფერიძე დ., საჰაერო ხომალდის ლიზინგი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამართალი, N11-12, 2003;

ენცო ლ. ვიალი., საქართველოს ახალი კანონი ლიზინგის შესახებ - კრიტიკული ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002;

ლაფაჩი ე,. უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებაზე და დაცვაზე, სადისერტაციო ნაშრომი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,2016;

ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GCCC.GE, 14.03.2016;

კახაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV,ტ. I, თბილისი, 2001;

კიკუტაძე ვ., ლიზინგის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების გზები მშენებლობაში, სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2008;

კინწურაშვილი.ნ., ლიზინგის მომწესრიგებელი ნორმები და მათი გამოყენების სასამართლო პრაქტიკა,სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2019

მეშველიშვილი ს., სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია, მართლმსაჯულება და კანონი, N4(39), 2013;

რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, 24.12.2017;

ქოქრაშვილი ქ., საერთაშორისო ფინანსური ლიზინგი და მისი დამკვიდრების რეალური ასპექტები საქართველოში

ღუდუშაური ა., ლიზინგი და მისი შესაძლებლობანი, სამართალი, N1112, 1993;

ძლიერიშვილი ზ., ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5, N4, 2002;

ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, .„სამართალი“,თბ. 2011, გვ. 90.

უცხოურ ენაზე:

ACCA (2012) “Financial Reporting (FR)” kaplan publishing pg.276

Australian Accounting Standards Board, AASB 117, 01.12.2009, 14 ;

Kronke H. , Financial Leasing and its Unification by UNIDROIT – General Report, Uniform Law Review, 20111/2 ;

Ronald C. C. Cuming, Model Rules for Lease Financing: A Possible Complement to the UNIDROIT Convention on International Financial Leasing, 3 Unif. L. Rev. n.s., 1998, 378;

Roshi U., A Legal Analysis Of Financial Leasing And Its Unification By Unidroid, European International Virtual Congress Of Researches,ISSN 20592752,2016.19;

Terry, Brian J. (1977) *The leasing industry and the role and evaluation of leasing in corporate financing strategies.* PhD thesis, University of Warwick. Chapter 1, page 2;

ნორმატიული მასალა:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 24/07/1997;

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 12/10/2010

საჯარო რეესტრის შესახებ"საქართველოს კანონი, სსმ, 41, 30/12/2008

საქართველოს კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ, 28/05/2002, ძალადაკარგულია, 31.10.2011.

საქართველოს მინისტრის ბრძანება N 892" სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" 02.07.2007;

საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენცია;

რომის მოდელური კანონი 2008.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქააქო საქმეთა პალატა, განჩინება - 20/02/2019; 2ბ/-1246-2018

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქააქო საქმეთა პალატა, განჩინება - 18/09/2018; 2/ბ-839-2018;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება - 12/02/2018/ №ას-691-1021-07;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება - 26/11/2018, # 4/8876-18;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება - 15.10.2018, # 4/7503-18;

ინტერნეტ წყაროები:

https://matsne.gov.ge

https://kaplanpublishing.co.uk

https://academic.oup.com

http://intlaw.ge

http://media.wix.com

http://wrap.warwick.ac.uk

https://www.aasb.gov.au

https://efinancemanagement.com

https://openscience.ge

https://www.unidroit.org

https://www.jus.uio.no

http://dspace.nplg.gov.ge

https://tsu.ge

https://GCCC.GE